პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 22 ივნისი, 1945 წ. № 122 (7337). ფასი 20 კაპ.

ოთხი წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები ვერაგულად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს.

ჩვენი სამშობლოს დასაცავად, სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის დიდი სტალინის მოწოდებისთანავე ერთსულოვნად აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი.

გმირმა წითელმა არმიამ, უდიდესი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით, არა მარტო მოიგერია მტრის შემოსევა, არამედ მოკავშირეთა ჯარების მხარდამხარ მთლიანად გაანადგურა ფაშისტი დამპყრობლები და მონობისაგან იხსნა ევროპის ხალხები.

დიდება ჩვენს სახელოვან გმირ წითელ არმიას!

დიდება და დღეგრძელობა გამარჯვების მარშალ დიდ სტალინს!

ეროვნული

## ოცდაორი ივნისი

22 ივნისი!

ეს დღე საბჭოთა ადამიანს მოაგონებს მრისხანე 1941 წლის კვირას, როცა გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა შეჯავშნული ურდოები ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს მშვიდობიან ქვეყანას.

1941 წლის 22 ივნისს დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი.

მრისხანედ და ულრმესი აღშფოთებით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები ჰიტლერელ ბანდიტთა ავაზაკურ თავდასხმას. ჩვენი ქვეყნის თვითეულმა პატრიოტმა საბჭოთა მთავრობის პირველსავე მოწოდებას უპასუხა მზადყოფნით—ყველაფერი გაეკეთებინა ვერაგი მტრის გასანადგურებლად, დაეძაბა მთელი ძალები გამარჯვებისათვის.

— ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

საბჭოთა მთავრობის ამ ისტორიულმა მოწოდებამ მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრი, გრძნობა და ნებისყოფა გამოხატა.

1941 წლის 3 ივლისს რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა.** ეს იყო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა.

ამხანაგმა სტალინმა გენიალურად დაახასიათა შექმნილი ვითარება, დასახა ზურგისა და ფრონტის საბრძოლო ამოცანები, მოუწოდა საბჭოთა ხალხს მთელი ცხოვრება გარდაექმნა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი დაექვემდებარებინა მტრის განადგურების ამოცანებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხს გადაუშალა შექმნილი სერიოზული საფრთხის სრული სურათი, სთქვა, რომ „ომის გამო, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს, ჩვენი ქვეყანა ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში თავის უბოროტეს და ვერაგ მტერთან—გერმანიის ფაშიზმთან“.

ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხს მოუწოდა მთელი ძალები მიემართა ჩვენი გმირი წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად, ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

დიდი ბელადის მოწოდებისთანავე მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად აღსდგა ვერაგი მტრის შესამუსრავად. ფრონტზე წითელი არმიის გმირულ ბრძოლას ზურგში დარჩენილმა საბჭოთა ადამიანებმა ასევე გმირული შრომით უპასუხეს. ომის დღეებში ჩვენი ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკად გადაიქცა.

დიდი სტალინის ისტორიული გამოსვლები, სიტყვები და მოხსენებები ხალხს აღაფრთოვანებდა ახალ-ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის.

მძიმე დღეები გადაიტანა ჩვენმა ქვეყანამ. თავით ფეხამდე შეიარაღებული მტერი წინ მოიწევდა. წითელი არმია იძულებული იყო მძიმე ბრძოლებით უკან დაეხია. მრისხანე საფრთხე თავს დასტრიალებდა ჩვენს სამშობლოს. ლენინგრადი ბლოკადაში იყო. მტერი მოსკოვს ემუქრებოდა.

დაუვიწყარ თარიღად შევიდა ისტორიაში 1941 წლის 6 და 7 ნოემბერი. ამხანაგი სტალინი გამოვიდა მოხსენებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავზე და სიტყვით წითელი არმიის პარადზე მოსკოვში.

ძნელია გამოხატო ის სიხარული და აღფრთოვანება, რაც ბელადის მოხსენებამ და სიტყვამ გამოიწვია. ხალხს ახალი ძალა მიეცა, მებრძოლს—ახალი ენერგია.

ამხანაგმა სტალინმა სთქვა, რომ ჩაიფუშა გერმანელ ფაშისტთა „ელვისებური ომის“ სულელური გეგმა. ჰიტლერელები, რომლებმაც იოლი გამარჯვებებით მთელი ევროპა დაიპყრეს, ფიქრობდნენ, რომ უეჭველად შესძლებდნენ თვენახევარ-ორ თვეში „მოეღოთ ბოლო“ საბჭოთა კავშირისათვის. მაგრამ ისინი სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში.

თავის მოხსენებაში დიდმა სტალინმა გენიალურად ახსნა წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობის მიზეზები, დაახასიათა, თუ ვინ არიან ჩვენი მტრები — ნაციონალ-სოციალისტები და რას წარმოადგენს მათი პარტია. ამხანაგმა სტალინმა გამოააშკარავა ჰიტლერელებისა და მათი პარტიის რეაქციული, შავრაზმული ხასიათი, სთქვა, რომ **„ჰიტლერელთა პარტია არის იმპერიალისტთა პარტია, თანაც პარტია ყველაზე უფრო მტაცებელი და ავაზაკი იმპერიალისტებისა მსოფლიოს ყველა იმპერიალისტთა შორის“.**

აი ასეთი ვერაგი, საზიზღარი მტერი გვებრძოდა ჩვენ. იგი უმაგალითო მხეცობით ბომბავდა, სწვავდა, ანადგურებდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, ჰკლავდა უდანაშაულო, მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებს, ახალგაზრდებს და მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. ისტორიას არ ახსოვს ისეთი უმაგალითო მხეცობა, რაც ჰიტლერელებმა დროებით ოკუპირებულ საბჭოთა მიწა-წყალზე ჩაიდინეს.

გმირულად ებრძოდა მტერს წითელი არმია. ოდესის, სევასტოპოლის, ლენინგრადის, მოსკოვის მამაცური დაცვა სამუდამოდ შევიდა ისტორიაში. ვერაგმა მტერმა თავისი პირველი დამარცხება სწორედ მოსკოვის მისადგომებთან განიცადა. ეს იყო შემობრუნების პუნქტი სამამულო ომის ფრონტზე. დაიწყო წითელი არმიის შეტევა, რაც წარმატებით დაგვირგვინდა.

მაგრამ ჰიტლერელებმა ისარგებლეს 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობით, დიდი ძალები გამოიყვანეს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, მოუახლოვდნენ კავკასიის მისადგომებს, შეიჭრნენ სტალინგრადში.

სტალინგრადის ეპოპეა ყველაზე უფრო გმირული და უმაგალითო იყო ომების ისტორიაში. სტალინგრადთან მტერმა ისეთი გამანადგურებელი დამარცხება განიცადა, რომ მის შემდეგ იგი წელში აღარ გამართულა. შემდეგ კურსკთან ბრძოლამ ფაშისტი დამპყრობლები კატასტროფის წინაშე დააყენეს.

წითელი არმიის ძლიერმოსილმა შეტევამ სტალინგრადთან საბოლოოდ გასტეხა ჰიტლერის სამხედრო მანქანა. გერმანელთა ჯარების განადგურებამ კავკასიაში, რაც დაკავშირებულია დიდი **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლის ამხ. **ლ. პ. ბერიას** სახელთან, გმირულმა ბრძოლებმა ველიკიე ლუკისთან, ლენინგრადთან, რჟევთან, ვიაზმის რაიონში გვიჩვენა წითელი არმიის ძალისა და მხედრული ოსტატობის ზრდა.

უკვდავი გმირობით არის აღბეჭდილი წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის გზა სტალინგრადიდან ბერლინამდე. მის მიერ წყლის უდიდესი ზღუდეების, თანამედროვე რთული სამხედრო ნაგებობების, ხელოვნური და ბუნებრივი დაბრკოლებების გადალახვა მთელი მოწინავე კაცობრიობის აღტაცებას და სიხარულს იწვევდა.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** ისტორიული ბრძანებებით არის გაცისკროვნებული წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებანი. მოსკოვის სალუტები მიაცილებდნენ ჩვენს გმირ მებრძოლებს, დივიზიებს და პოლკებს, გვარდიულ ნაწილებსა და ფრონტის არმიებს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

საბჭოთა ხალხი, **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით ყოველგვარ დახმარებას უწევდა ფრონტს, წითელ არმიას. სამამულო ომში გმირული შრომით თავი გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის მუშებმა, კოლმეურნე გლეხობამ, მამაცმა ტრანსპორტელებმა, ინტელიგენციამ. სამუდამოდ შევიდა ისტორიაში ქალებისა და ახალგაზრდების შრომითი გმირობა.

ხალხთა შორის ლენინურ-სტალინური მეგობრობა, ბრძოლებში ნაცადი ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა ხელისუფლება — აი რა იყო და რა არის ჩვენი ძლიერების წყარო.

დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ მოკავშირეთა არმიების მხარდამხარ ფაშისტი მხეცი მისსავე ბუნაგში მოსპო.

1945 წლის 2 მაისს ბერლინში — ფაშისტური გერმანიის ცენტრში აფრიალდა ჩვენი გამარჯვების დროშა.

9 მაისს მთელმა მოწინავე კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების დღე.

გერმანიის ჯარებმა უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინეს.

ევროპაში ომი დამთავრდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი.

დღეს 22 ივნისია!

4 წლის წინათ, სწორედ 22 ივნისს თავს დაგვესხა ფაშისტური გერმანია, რომ მოესპო საბჭოთა კავშირი.

მაგრამ საბჭოთა კავშირი ცოცხლობს და დღეგრძელობს, ის გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, ფაშისტური გერმანია კი დამარცხებული და განადგურებულია!

დღეს, 22 ივნისს, მოსკოვში მუშაობას შეუდგება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, ჩვენი გამარჯვებული ხალხის უზენაესი ორგანოს პირველი სესია ომის შემდეგ!

ეს ცნობა ულრმესი სიხარულით აღავსებს ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ადამიანის გულს.

და თვითეული საბჭოთა პატრიოტი თავის პირველ მისასალმებელ სიტყვას მიუძღვნის მთელი საბჭოთა ხალხის პირველ დეპუტატს, უდიდეს ადამიანს, ჩვენი გამარჯვების ბრძენ ორგანიზატორს — უმაღლეს მთავარსარდალს ამხანაგ **სტალინს.**

სალამი გამარჯვებული ხალხის რჩეულთ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს!

## ხელმოწერა შეთანხმებისა სსრ კავშირის მთავრობასა და უნგრეთის დროებითს ნაციონალურ მთავრობას შორის უნგრეთის მიერ საქონლის მოწოდების შესახებ იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც უნგრეთმა მიაყენა საბჭოთა კავშირს საომარი მოქმედებით და საბჭოთა ტერიტორიის ოკუპაციით

იმ მოლაპარაკების შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის მთავრობასა და უნგრეთის დროებითს ნაციონალურ მთავრობას შორის დროებითი ზავის შესახებ 1945 წლის 20 იანვრის შეთანხმების მე-12 მუხლის განსახორციელებლად, ქალაქ ბუდაპეშტში ამა წლის 15 ივნისს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება უნგრეთის მიერ საქონლის მოწოდების შესახებ იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც უნგრეთმა მიაყენა საბჭოთა კავშირს საომარი მოქმედებითა და საბჭოთა ტერიტორიის ოკუპაციით.

დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების მე-12 მუხლით გათვალისწინებული 200 მილიონი ამერიკული დოლარის ფასეულობათა მოწოდება იწარმოებს 1945 წლის 20 იანვრიდან 1951 წლის 20 იანვრამდე ყოველწლიურად თანაბარ ნაწილებად.

შეთანხმებით გათვალისწინებულია სამანქანო მოწყობილობის, გემების, მარცვლეულის, პირუტყვის და სხვა საქონლის მოწოდება, ამასთან დადგენილია მოსაწოდებლად გათვალისწინებული საქონლის სახელწოდებათა დაწვრილებითი ნუსხა, აგრეთვე ამ საქონლის მოწოდების ვადები.

მოსაწოდებელი საქონლის ღირებულება განსაზღვრულია 1938 წლის ფასებით ამერიკულ დოლარებში, ამასთან სამრეწველო მოწყობილობას ემატება 15 პროცენტი, ხოლო დანარჩენ საქონელს — 10 პროცენტი.

მოლაპარაკება შეთანხმების დადების შესახებ სრული ურთიერთგაგების ვითარებაში სწარმოებდა.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს საბჭოთა მთავრობის რწმუნებით საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. ე. ვოროშილოვმა და უნგრეთის მთავრობის რწმუნებით პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა მიკლოშმა. (საკდესი).

## სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო კომისიის მუშაობის დაწყება

21 ივნისს მოსკოვში შესდგა სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო კომისიის პირველი სხდომა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის **ი. მ. მაისკის** თავმჯდომარეობით.

ი. მ. მაისკი მეგობრულად მიესალმა ბრიტანეთისა და ამერიკის დელეგაციებს, რომლებსაც მეთაურობენ სერ ვალტერ მონკტონი და ელჩი ე. პოული.

სერ ვალტერ მონკტონმა და ელჩმა პოულიმ თავიანთი დელეგაციების სახელით უპასუხეს მისალმებაზე.

სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო კომისიის ამოცანაა შეიმუშაოს სარეპარაციო გეგმა ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ბაზაზე და წარუდგინოს იგი თავის მთავრობებს. სამმა დელეგატმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ტექნიკური საკითხების განხილვას, რათა მიაღწიონ სწრაფ და ეფექტიან შედეგებს.

## ინგლისური გაზეთი თვალსაჩინო კიზლერელების ესპანეთში გაქცევის შესახებ

**ლონდონი,** 20 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „დეილი ექსპრესის“ ბარსელონელი კორესპონდენტი სწერს, რომ როგორც მან შეიტყო, 1 მაისს რეუსის აეროდრომზე (60 მილი ბარსელონის სამხრეთ-დასავლეთით) დაეშვა გერმანიის თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდნენ მაღალი თანამდებობის ნაცისტები. როცა მგზავრები თვითმფრინავიდან გამოდიოდნენ, ეკიპაჟი მათ დიდი ცერემონიებით მიესალმა. ერთ-ერთი მგზავრი გულმოდგინედ იფარავდა სახეს. აეროდრომზე გაწვეულ იქნა ბარსელონის სამხედრო გუბერნატორი, რომელმაც შემდეგ ტელეფონით დაურეკა მადრიდს. უფრო გვიან ესპანეთის თვითმფრინავი მოფრინდა და მაღალი თანამდებობის ნაცისტები ამ თვითმფრინავით გაფრინდნენ გაურკვეველი მიმართულებით.

კორესპონდენტი კითხვას აყენებს, ის მგზავრი, სახეს რომ იფარავდა, ჰიტლერი ხომ არ იყო.

## კრუპი სასამართლოს წინაშე წარსდგება

**ნიუ-იორკი,** 21 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ესენიდან იუწყება, ბრიტანეთის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამხედრო პოლიციამ ცნობილი გერმანელი მრეწველი კრუპი მისი მამულიდან გაურკვეველ ადგილას გადაიყვანა. მოელიან, რომ კრუპი სასამართლოს წინაშე წარსდგება, როგორც სამხედრო დამნაშავე.

## თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

შეიარაღების სახალხო კომისარიატის ურალის სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები მოხარული არიან მოგახსენონ თქვენ, რომ ომის დამთავრების დღეებში, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ნათელ დღეებში ქარხნის კარიდან გავიდა მეოცდაათიათასე ზარბაზანი.

სამამულო ომის დღეებში შექმნილი ქარხანა მძიმე საველე და სატანკო ზარბაზნების გამოშვების ძირითადი ბაზა გახდა. ჩვენ შევასრულეთ თქვენი მითითებები და შევქმენით მძლავრი თვითმავალი საარტილერიო დანადგარები.

ქარხანაში დამზადებულმა საარტილერიო სისტემებმა თავიანთი სასროლო თვისებებით აჯობეს მტრის ტექნიკას. სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობის შესრულებით ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, წარმოების რაციონალიზაციის და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის შედეგად 600 მილიონზე მეტი მანეთი დაუზოგეს სახელმწიფოს სამამულო ომის განმავლობაში.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებათა შესრულებისათვის ქარხანას სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 23 თვის მანძილზე უკავია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ჩვენი საარტილერიო ქარხნის კოლექტივი ამაყობს იმით, რომ ჩვენმა ზარბაზნებმა ხელი შეუწყეს ფაშისტური გერმანიის განადგურების დაჩქარებას.

ამჟამად, საარტილერიო საჭურვლის გამოშვებასთან ერთად, აუმჯობესებს რა საბრძოლო ტექნიკას კიდევ უფრო მძლავრი ნიმუშების ათვისებით, ქარხნის კოლექტივი, რომელიც იყენებს ომის განმავლობაში შეძენილ გამოცდილებას, მზად არის შეასრულოს მთავრობის დავალებანი სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის — ჩვენი ქვეყნის ნავთისა და ქვანახშირის მრეწველობისათვის.

ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის კოლექტივის დავალებით

ქარხნის დირექტორი **ლ. გონორი**

მთავარი ინჟინერი **დ. რიჟკოვი**

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი **პ. მალოლეტოვი**

ქარხკომის თავმჯდომარე **ა. ბელოვი**

## შეიარაღების სახალხო კომისარიატის ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხანა

ქარხნის დირექტორს ამხ. გონორს

მთავარ ინჟინერს ამხ. რიჟკოვს

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგს ამხ. მალოლეტოვს

ქარხკომის თავმჯდომარეს ამხ. ბელოვს

**ვულოცავ ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მთელ კოლექტივს დიდ საწარმოო გამარჯვებას — მეოცდაათიათასე ზარბაზნის გამოშვებას და ამასთან დაკავშირებით „სამამულო ომის I ხარისხის“ ორდენით ქარხნის დაჯილდოებას.**

**გაბედული ნოვატორობის და საარტილერიო წარმოებაში მანქანათმშენებლობის მოწინავე ტექნიკის დანერგვის მეოხებით სამამულო ომის დღეებში შექმნილი ქარხანა გახდა ყველაზე სრულყოფილი და მძლავრი საარტილერიო საჭურვლის გამოშვების ძირითადი ბაზა, საჭურვლისა, რომელიც სჯობნის მტრის ტექნიკას და რომლითაც ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ უზრუნველჰყო სრული გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე.**

გისურვებთ თქვენ შემდგომში, მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, ახალ-ახალ წარმატებას საარტილერიო საჭურვლისა და ჩვენი ქვეყნის ნავთისა და ქვანახშირის მრეწველობისათვის მოწყობილობის გამოშვების საქმეში.

**ი. სტალინი**

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### შეიარაღების სახალხო კომისარიატის ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

წითელი არმიის საარტილერიო საჭურვლით უზრუნველყოფის დარგში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის შეიარაღების სახალხო კომისარიატის ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხანა დაჯილდოებულ იქნას სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 21 ივნისი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

# 1945 წელს მარცვლეული თავთავიანი კულტურების, მზესუმზირის, თამბაქოს და ბალახების სათესლე ნაკვეთების მოსავლის აღებისა და პურის დამზადების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მიმდინარე წელს გაზაფხულზე ამინდის პირობებმა გამოიწვია საგაზაფხულო თესვის გაჭიანურება და შემოდგომის ნათესი თავთავიანი კულტურების განვითარების შეფერხება. ამის შედეგად მეტწილ რაიონებში თავთავიანი კულტურები ერთდროულად შემოდის. ეს თავისებურება მოითხოვს წელს უფრო გულდასმით მომზადებას მოსავლის აღებისათვის. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მთელი ძალები და საშუალებები მაქსიმალურად მობილიზებულ უნდა იქნას და იქითკენ წარიმართოს, რომ მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ ჩავატაროთ მთელი მოსავლის აღება, უზრუნველვყოთ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ სახელმწიფოს წინაშე თავისი ვალდებულებების დროულად შესრულება.

მოსავლის აღების წარმატებით ჩატარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კომბაინებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების დროულად და ხარისხოვნად მომზადებაზე. ამავე დროს კი, მთელ რიგ რაიონებში კომბაინების, სალეწებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების და ინვენტარის რემონტი სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 1945 წლის 15 ივნისისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს კომბაინების რემონტის გეგმა შესრულებული აქვთ 78,4 პროცენტით. შინდისის, კასპის, თიანეთის, ახმეტის, დილმისა და სართიჭალის მტს-ებს დღემდე ერთი კომბაინიც არ გამოუშვიათ რემონტიდან. მტს-ებში სალეწი მანქანების რემონტის გეგმა შესრულებულია 35,4 პროცენტით...

## I. მარცვლეულ თავთავიან კულტურათა მოსავლის აღებისათვის მზადების დარგში

1. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს, რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

ა) დაუყოვნებლივ შეამოწმონ ყოველ მტს-ში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კომბაინების, სალეწი მანქანებისა და მოსავლის ასაღები და მარცვალსაწმენდი სხვა მანქანების, აგრეთვე მოსავლის ასაღები მარტივი ინვენტარის რემონტის მდგომარეობა და მიიღონ ზომები იმისათვის, რომ რემონტი დაამთავრონ და ეს მანქანები და ინვენტარი სავსებით გაამზადონ მოსავლის მასობრივი აღების დაწყებამდე. ამ მანქანების რემონტისათვის გამოიყენონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამჭედლოები, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონის სხვა ორგანიზაციების სახელოსნოები.

საქართველოს სსრ მიწსახკომმა გაგზავნოს სპეციალისტები იმ მტს-ების დასახმარებლად, რომლებიც მოსავლის ასაღები მანქანების რემონტში ჩამორჩებიან;

ბ) ა. წ. 25 ივნისამდე თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-სა და მთლიანად რაიონში შეადგინონ მარცვლეულის...

## II. მოსავლის აღების და პურლეწვის ჩატარების დარგში

## III. თამბაქოს აღების დარგში

## IV. მზესუმზირის აღების დარგში

## V. სათესლე ბალახების აღების დარგში

## VI. მარცვლეული კულტურების დამზადების დარგში

# სასამართლო პროცესი

## პოლონეთის, ლიტვის და ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთი რაიონების ტერიტორიაზე წითელი არმიის ზურგში პოლონელთა არალეგალური მოქმედების ორგანიზატორთა, ხელმძღვანელთა და მონაწილეთა საქმის შესახებ

18 ივნისს მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ღია სხდომაზე დაიწყო პოლონელთა არალეგალური მოქმედების იმ 16 ორგანიზატორის, ხელმძღვანელისა და მონაწილის საქმის განხილვა, რომლებიც, მოქმედებდნენ რა ეგრეთწოდებული ლონდონში არსებული პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობის" მითითებით, ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ წითელი არმიის ზურგში, ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთი რაიონების ტერიტორიაზე, ლიტვასა და პოლონეთში.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარეობს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე, იუსტიციის გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ვ. ულრიხი, სასამართლოს წევრები — იუსტიციის გენერალ-მაიორი ა. დ. დმიტრიევი, იუსტიციის პოლკოვნიკი ი. ვ. დეტისტოვი და სასამართლოს სათადარიგო წევრი — იუსტიციის პოლკოვნიკი ვ. ვ. სიულდინი. სასამართლოს მდივნები — იუსტიციის პოლკოვნიკი ა. ა. ბატნერი და იუსტიციის პოდპოლკოვნიკი ლ. ნ. კუდრიავცევი.

სასამართლოს დარბაზში არიან საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, აგრეთვე საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები. ესწრებიან აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ამ საქმის გამო სამართალში მიცემული არიან: ლ. ბ. ოკულიცკი, რომელსაც ბრალად ედება რსფსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-6, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი; ი. ი. იანკოვსკი, ა. ვ. ბენი, ს. ი. იასიუკოვიჩი, რომელთაც ბრალად ედებათ რსფსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-9, 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი; ა. ი. პაიდაკი, კ. ვ. პუჟაკი, ა. კ. ზვეჟინსკი, კ. ს. ბაგინსკი, ს. ფ. მერზვა, ზ. ფ. სტიპულკოვსკი, ე. ს. ჩარნოვსკი, ი. ა. ხაცინსკი, ფ. ა. ურბანსკი, ს. ფ. მიხალოვსკი, კ. ს. კობილიანსკი, ი. ვ. სტემლერ-დომბსკი, რომელთაც ბრალად ედებათ რსფსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 17-58-8, 58-9, 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი.

ბრალდების მხარს უჭერენ წითელი არმიის მთავარი სამხედრო პროკურორი, იუსტიციის გენერალ-მაიორი ნ. ა. აფანასიევი და იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო მრჩეველი რ. ა. რუდენკო.

ბრალდებულთ ა. ვ. ბენს და ს. ი. იასიუკოვიჩს იცავს ადვოკატი ი. დ. ბრაუდე; ბრალდებულთ ფ. ა. ურბანსკის და ს. ფ. მიხალოვსკის — ადვოკატი ვ. ი. მიხალსკი; ბრალდებულთ კ. ს. კობილიანსკის და ე. ს. ჩარნოვსკის — ადვოკატი ა. გ. მილოვიდოვი; ბრალდებულთ კ. ვ. პუჟაკს და ი. ა. ხაცინსკის — ადვოკატი ს. კ. კაზნაჩეევი; ბრალდებულთ კ. ს. ბაგინსკისა და ს. ფ. მერზვას — ადვოკატი ვ. პ. მარკევიჩი; ბრალდებულ ა. კ. ზვეჟინსკის — ადვოკატი მ. ა. ოცეპი და ბრალდებულ ი. ვ. სტემლერ-დომბსკის — ადვოკატი ფ. ნ. პლევაკო.

ბრალდებულნი ლ. ბ. ოკულიცკი, ი. ი. იანკოვსკი და ზ. ფ. სტიპულკოვსკი აცხადებენ, თავს ჩვენ თვითონ დავიცავთო.

სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოს მდივანს მიმართავს კითხვით — ყველა ბრალდებული ესწრება თუ არაო. მდივანი აცხადებს, რომ ყველა ბრალდებული ესწრება, გარდა ა. ი. პაიდაკისა, რომელიც სასამართლოს სხდომაზე არ არის ავადმყოფობის გამო. სასამართლოს წარედგინა სათანადო სამედიცინო ცნობა პაიდაკის ავადმყოფობის შესახებ.

თავმჯდომარე მოეთათბირა სასამართლოს წევრებს და აცხადებს, რომ სასამართლომ დაადგინა ჩაითვალოს საპატიოდ სხდომაზე ბრალდებულ ა. ი. პაიდაკის გამოუცხადებლობის მიზეზი.

თავმჯდომარე ბრალდებულთ განუმარტავს მათს უფლებას ჩვენება მთლიანად ან ნაწილობრივად მისცენ მშობლიურ პოლონურ ენაზე.

სასამართლოს თავმჯდომარე რიგ-რიგობით ეკითხება ბრალდებულთ, მიიღეს თუ არა მათ საბრალდებო დასკვნის ასლი. ყველა ბრალდებული დადებითი პასუხს იძლევა.

სასამართლოს თავმჯდომარე ეკითხება, არის თუ არა აცილება სასამართლოს შემადგენლობის წინააღმდეგ. განცხადებანი აცილების შესახებ არ შემოდის.

სასამართლოს თავმჯდომარე კითხულობს: — აქვთ თუ არა მხარეებს რაიმე შუამდგომლობა მოწმეთა დამატებითი გამოწვევის შესახებ?

ბრალდებული ლ. ბ. ოკულიცკი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით მთელი რიგი მოწმეების დამატებითი გამოწვევის შესახებ, იმათ გარდა, ვინც უკვე გამოწვეულია სასამართლოს სხდომაზე. სასამართლოს გამოაქვს დადგენილება:

— გადაწყვეტილება ბრალდებულ ოკულიცკის შუამდგომლობის თაობაზე მიღებულ იქნას სასამართლო გამოძიების შემდგომს მსვლელობაში.

სასამართლოს მდივანი, იუსტიციის პოლკოვნიკი ა. ა. ბატნერი აქვეყნებს საბრალდებო დასკვნას.

საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ თავმჯდომარე თვითეულ ბრალდებულს ეკითხება — სცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში?

ბრალდებულნი ბენი, იასიუკოვიჩი, იანკოვსკი, ზვეჟინსკი, მერზვა, კობილიანსკი, სტემლერ-დომბსკი სავსებით სცნობენ თავს დამნაშავედ. ბრალდებულნი ჩარნოვსკი, ოკულიცკი, პუჟაკი, ურბანსკი, ბაგინსკი, ხაცინსკი, მიხალოვსკი თავს ნაწილობრივ დამნაშავედ სცნობენ. ბრალდებული სტიპულკოვსკი თავს დამნაშავედ არა სცნობს.

იწყება ბრალდებულთა დაკითხვა. დაკითხვას აწარმოებს წითელი არმიის მთავარი სამხედრო პროკურორი, იუსტიციის გენერალ-მაიორი აფანასიევი. პირველს დაკითხავენ ბრალდებულ იასიუკოვიჩს.

პროკურორის კითხვაზე, ვის მიერ და როდის იყო სანქციონირებული „აკ"-ის შეიარაღებული ბრძოლა წითელ არმიასთანო, ბრალდებული იასიუკოვიჩი აჩვენებს, რომ შეიარაღებული ბრძოლა წითელ არმიასთან სანქციონირებული იყო „არმია კრაიოვას" სარდლობის მიერ, ეგრეთწოდებული არალეგალური „მთავრობის" მიერ 1944 წლის გაზაფხულზე, როდესაც წარმოიშვა საკითხი იმის შესახებ, რომ „არმია კრაიოვას" რაზმები, რომლებიც პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში იმყოფებიან, შეიძლება განიარაღებულ იქნან საბჭოთა ჯარების მიერ, ამ რაზმებს მაშინვე მიეცათ მითითება — იარაღი არ დაჰყარონ და ბრძოლებით გაიჭრან დასავლეთისაკენ.

იასიუკოვიჩი აჩვენებს, რომ მან ამ საკითხზე ინფორმაცია მიიღო შესაბამისად ლონდონიდან მიღებული მითითებებისა, რომლებიც

## 18 ივნისის საღამოს სხდომა

## 19 ივნისის დილის სხდომა

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

# ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო პ რ ო ც ე ს ი

## პოლონეთის, ლიტვის და ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთი რაიონების ტერიტორიაზე წითელი არმიის ზურგში პოლონელთა არალეგალური მოქმედების ორგანიზატორთა, ხელმძღვანელთა და მონაწილეთა საქმის გამო

(გაგრძელება)

— 1944 წლის 27 ნოემბერს,—ამბობს ურბანოვიჩი,—როცა ერთ-ერთ სოფელში ვიყავით, გავიგეთ, რომ იქ ღამეს ათევდა წითელი არმიის ლეიტენანტი. იგი ძილის დროს შევიპყრეთ, შტაბში მივიყვანეთ და იქ დავხვრიტეთ.

— 1944 წლის ნოემბრის დამდეგს, — აცხადებს შემდეგ ურბანოვიჩმა, — „რაგნერის" შტაბში მოიყვანეს ჩემთვის უცნობი საბჭოთა მოქალაქე. მე პირადად ვნახე, თუ როგორ დახვრიტა იგი ოცეულის მეთაურმა მეტსახელად „ჯავიცამ" შტაბის მახლობლად. მე ვიცი აგრეთვე, რომ ჩვენმა რაზმმა ჩამოახრჩო ნშვიდობიანი საბჭოთა მცხოვრები. 1944 წლის ნოემბერში „აკ"-ის რაზმმა, რომელსაც „ბროეკა" მეთაურობდა, ოცეულის მეთაურის „ჯავიცას" წინამძღოლობით გამოსვლა მოაწყო პროდუქტებისათვის ერთ-ერთ სოფელში, სადაც შეიპყრეს ერთ-ერთი მშვიდობიანი საბჭოთა მცხოვრები. იგი ჩამოახრჩეს. მე „აკ"-ის ორ მსროლელთან ერთად მზირად ვიდექი და დასჯის ადგილს ვიცავდი.

სასამართლო გადადის მოწმე ნევეროვსკის დაკითხვაზე.

„აკ"-ის რაზმს, რომელშიც იგი შედიოდა, მეთაურობდა ვიტოლდ გლადკიხი.

**პროკურორი:** თქვენ მოჰკალით საბჭოთა პარტიზანი კოსტიუშინი?

**ნევეროვსკი:** დიახ. იგი სოფელში შევიპყრეთ. მე თავში ვესროლე ორი ტყვია და მოვკალი. კოსტიუშინის გვამი იქვე დავმარხეთ.

სხვა შემთხვევაში რაზმმა, რომელშიც ნევეროვსკი იმყოფებოდა, 1944 წლის სექტემბერში დახვრიტა სოფელ კოტლოვის მცხოვრები ურბანოვიჩი.

**პროკურორი:** ისიც საბჭოთა პარტიზანი იყო?

**ნევეროვსკი:** დიახ.

**პროკურორი:** ვის ემორჩილებოდა თქვენი რაზმი?

**ნევეროვსკი:** „არმია კრაიოვას" მთავარსარდლობას და პოლონეთის ლონდონის ემიგ-...

...გამოიყენებინათ იარაღი თავდაცვისათვის, ამასთან გაითვალისწინებინათ საბჭოთა ხელისუფალთათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა „ნიეს" ორგანიზაციის ჩავარდნის შემთხვევაში, აგრეთვე გამოეყენებინათ იარაღი ტერორისტული აქტების მოსახდენად საბჭოთა სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლების წინააღმდეგ სსრ კავშირის ტერიტორიაზე, აგრეთვე წითელი არმიის ოფიცრებისა და მებრძოლების წინააღმდეგ.

ოკულიცკი აღიარებს, რომ მას არ გაუუქმებია ეს მითითებანი, მაგრამ განმარტებას იძლევა, რომ ამას თითქოს ხელი შეუშალა „აკ"-ის ადმოსავლეთ ოლქებთან „კავშირის უქონლობამ". აგრეთვე აღიარებს, რომ 1944 წლის დეკემბერში მან შეიტყო ფილდორფის დირექტივა ტერორის გატარების შესახებ, მაგრამ აცხადებს, რომ ტერორის შემთხვევები თითქოს ერთეული იყო.

ოკულიცკი აჩვენებს, რომ ლაპარაკი იყო თავდაცვის გატარების საჭიროებაზე. მაშინ თავმჯდომარე წინადადებას აძლევს ოკულიცკის, განმარტოს, რას ნიშნავს მის ენაზე „თავდაცვა". ოკულიცკი აზუსტებს, რომ ეს ნიშნავს „არმია კრაიოვას" მოწინააღმდეგეთა მოსპობას".

პროკურორი მოაგონებს ბრალდებულს, რომ გამოძიებისას მან ასეთი ჩვენება მისცა: „თავდაცვა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მოეწყოს დაზვერვითი მუშაობა და შეიარაღებული წინააღმდეგობა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისადმი, დროებითი მთავრობისა და საბჭოთა შეიარაღებულ ხელისუფალთადმი, „ნიეს" ორგანიზაციის რგოლების ჩავარდნის შემთხვევაში".

ოკულიცკი ყოველივე ამას ადასტურებს.

პროკურორი ეკითხება ბრალდებულს, ეწეოდა თუ არა „აკ"-ის სარდლობა დაზვერვით საქმიანობას?

**ოკულიცკი:** ეწეოდა.

სასამართლო სხდომაზე ქვეყნდება ოკულიცკის მიერ ლონდონიდან, პოლონეთის...

[illegible]

...ბარბაროსობით, მშვიდობიან მცხოვრებთა ჟლეტით?

მთელი დარბაზის სიცილში ოკულიცკი აცხადებს:

— არა გერმანელებთან, არამედ ევროპასთან.

შემდეგ, უპასუხებს რა პროკურორის კითხვას, ოკულიცკი ლაპარაკობს თავის ურთიერთობაზე არალეგალურ „მინისტრთა საბჭოსთან". ბრალდებულს მუშაობაში კონტაქტი ჰქონდა იანკოვსკისთან, ორივე ინფორმირებული იყო ერთმანეთის საქმიანობაზე. ოკულიცკის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა „რადა იედნოსტი ნაროდოვოისთანაც".

**პროკურორი:** როგორ, თქვენ არალეგალ-...

[illegible]

ბრალდებული ბაგინსკი—„რადა იედნოსტი ნაროდოვოის" ვიცე-პრეზიდენტი და „სტრონიცტვო ლიუდოვეს" პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, უპასუხებს რა თავმჯდომარისა და პროკურორის შეკითხვებზე, ყოველნაირად ცდილობს შეამციროს თავისი პასუხისმგებლობა წითელი არმიის წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. ამ ლევს რა ჩვენებას „სტრონიცტვო ლიუდოვეს" პარტიის შეიარაღებული რაზმების, ეგრეთწოდებული „ბატალიონი ხლოპსკის" შესახებ, რომლებიც შემდეგ „არმია კრაიოვას" შეუერთდნენ, ბაგინსკი აცხადებს, რომ იარაღი, რაც ამ რაზმების წევრებს ჰქონდათ, მათი „პირადი იარაღი" იყო.

[illegible]

...განიზაციის ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნა, აგრეთვე ის, რომ ეს იყო სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა წითელი არმიის წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის.

**პროკურორი:** რა ბაზაზე იქმნებოდა ახალი არალეგალური ორგანიზაცია?

**მიხალოვსკი:** ამ ორგანიზაციის პოლიტიკურ ცენტრში უნდა შესულიყვნენ არალეგალურად მომუშავე პარტიების წარმომადგენლები.

**პროკურორი:** ესე იგი იმ პარტიებისა, რომლებიც არალეგალურად მოქმედებდნენ და ძირგამომთხრელ, დივერსიულ მუშაობას ეწეოდნენ წითელი არმიის წინააღმდეგ?

**მიხალოვსკი:** დიახ.

[illegible]

...კითხვით პროკურორი არკვევს, რომ პუჟაკი ინფორმირებული იყო წითელი არმიის ზურგში წარმოებული ძირგამომთხრელი მუშაობის შესახებ.

პროკურორი ეკითხება ბრალდებულს, იცოდა თუ არა მან, რომ „არმია კრაიოვამ" ფორმალურად გამოაცხადა რა შეიარაღებული რაზმების დაშლა, სინამდვილეში შეინარჩუნა თავისი იარაღი, ტექნიკა და არალეგალურ მდგომარეობაში გადაიყვანა თავისი კადრები?

**პუჟაკი:** მე ეს ვიცოდი.

პუჟაკი თავდაპირველად ცდილობს უარჰყოს ბრალდებულ ურბანსკის ჩვენება მისი, პუჟაკის, მტრულ დამოკიდებულებაზე საბჭოთა კავშირისადმი. ამის თაობაზე დაკითხ-...

[illegible]

## 19 ივნისის საღამოს სხდომა

[illegible]

## 20 ივნისის დილის სხდომა

[illegible]

...ფილდორფის მოსაზრებებს. მისი ოკულიცკის მოხსენა, თუ რა მითითება მისცა მან არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელს ამ ოლქებში: 1) შექმნათ საოლქო ომბარში შეიარაღებული რაზმები თვითეულში 50—60 კაცის რაოდენობით; 2) გადამალონ იარაღი და სამხრო მასალა; 3)...

...იქნა ამ არალეგალური ორგანიზაციის პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბების საკითხი. ჩარნოვსკიმ თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიეღო არალეგალურ ორგანიზაციაში.

**პროკურორი:** თქვენ, როგორც „რადა იედნოსტი ნაროდოვოის" ხელმძღვანელმა, იცო-...

...სუხს იძლევა.

**თავმჯდომარე:** როგორ მიგაჩნიათ — თქვენი ძირგამომთხრელი საქმიანობა ზიანს აყენებდა თუ არა გაერთიანებული ერების საერთო საქმეს?

**ჩარნოვსკი:** ეს ნამდვილად ასეა.

...ამბობს:

— მე გავიგე „აკ"-ის სარდლობისაგან და შევატყობინე, რომ მასში მოსპობილი არ იყო — იარაღი ჩაბარებინათ.

შემდეგ მიხალოვსკი აღიარებს, რომ მან ჩარნოვსკისაგან შეიტყო არალეგალური ორ-...

...ბის მოწყობაში. იგი ამტკიცებს, რომ მას, როგორც „არმია კრაიოვას" მთავარსარდალს, ყოველგვარი კავშირი ჰქონდა გაფუჭებული ომის(?) ... რომლებშიც ადგილი ჰქონდა ტერორისტულ და დივერსიულ საქმიანობას „აკ"-ის მხრივ, დასავლეთ რა-...

[illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-08, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,830 უე-00347